

შპს „ინვესტი 2023“-ის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წ. 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შპს „ინვესტი 2023“-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შპს „ინვესტი 2023“-ის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წ. 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის (ლარში)

	31.12.2024	31.12.2023
აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	20 014	41 808
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	273 801	265 147
მარაგები	97 837	86 597
მოთხოვნა ბიუჯეტის მიმართ	4 901	-
გადახდილი ავანსი	12 301	15 252
გაცემული სესხი	699	-
სულ მოკლევადიანი აქტივები	409 554	408 804
არამატერიალური აქტივები		-
ძირითადი საშუალებები	10 435 046	10 458 936
გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	10 435 046	10 458 936
	10 844 599	10 867 740
ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	21 523	16 062
გადასახდელი პროცენტები	-	
საგადასახადო ვალდებულებები		
გადასახდელი დივიდენდი	-	
მოკლევადიანი ვალდებულები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	21 523	16 062
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-
გრძელვადიანი ვალდებულები		-
სულ ვალდებულებები	21 523	16 062
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	30 905	57 754
გადაფასების რეზერვი	10 790 884	10 790 884
არამაკონტროლებელი წილი	1 287	3 040
სულ საკუთარი კაპიტალი	10 823 076	10 851 678
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	10 844 599	10 867 740
	12/31/2024	12/31/2023

დირექტორი მერაბ მელია



შპს „ინვესტი 2023“-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის საქმიანობის შედეგები

ამონაგები	12/31/2024	12/31/2023
თვითღირებულება	870 034	665 653
საერთო მოგება	(232 707)	(279 139)
	637 327	386 514

დასაქმებულთა ანაზღაურება		308 581
ცვეთა და ამორტიზაცია		
მიწოდების ხარჯი	(269 549)	(292 494)
დასაქმებულთა ანაზღაურება	(23 890)	(23 914)
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(67 529)	
სულ საოპერაციო ხარჯები	(214 464)	(317 893)
	(575 431)	(325 720)

საოპერაციო მოგება	61 895	60 794
-------------------	--------	--------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
მარაგების გაუფასურება		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი) მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(29 703)	-
მოგების გადასახადი	(29 703)	-
მოგება/(ზარალი)	32 192	60 794

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	32 192	60 794
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	10 851 678	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(60 794)	10 790 884
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	10 823 076	10 851 678

დირექტორი მერაბ მელია



შპს „ინვესტი 2023“-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 1

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ინვესტი 2023“ დაფუძნდა 2023 წლის 6 სექტემბერს.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, 0186, ქ. თბილისი, ქუთაისის ქ. #21

შპს ფლობს სს „ელექტროავტომატის“ (ს/კ 204379412) 95.845% -ს

შენიშვნა 2

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საანგარიშგებო და სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

1. საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
3. განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, დივიდენდების გაცემით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით, შესაბამისად კომპანიამ გადაწყვიტა წარადგინოს საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების ანგარიშგება და განმარტებით შენიშვნები, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით.

აქტივები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით და დაგროვილი ცვეთით (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის;

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და

საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება,

კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის დასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის ხარჯების ემსატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად. იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდ შესაძლებელია. ყველა სხვა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებისა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო შპს „ინვესტი 2023“-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როცა აქტივის ვარგისია გამოსაყენებლად, ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსთვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

შენობა-ნაგებობა 60 წელი
მანქანა-დანადგარები 30 წელი
ავტო და ინვენტარი 5-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა 5-10 წელი
ტრანსპორტი 20 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი შეფასების ასახვს მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება "პირველი შემოსავალში პირველი გასავალში" (FIFO) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს.

თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება.

გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შპს „ინვესტი 2023“-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები:

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისთვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება: განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი. მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად. საგადასახადო დაბეგვრის წესიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენები. მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები. საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ექონია.

შენიშვნა 3

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ნაღდი ფული		
ეროვნულ	4 366	6 023
ვალუტაში		
ფული ბანკში		
ეროვნულ	6 694	35 775
ვალუტაში		
სულ	11 060	41 798

შენიშვნა

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მპს „ინვესტი 2023“-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

	31.12.2024	31.12.2023
დებიტორული		
დავალიანება	273 801	265
მოთხოვნა		147
ბიუჯეტის მიმართ	4 901	
გადახდილი		
ავანსი	12 01	15 252
სულ	291 003	280 399

შენიშვნა 5
მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
ნედლეული და	16 541	17 185
მასალები		
მზა პროდუქცია	69 414	69 414
სხვა საწარმოო	11 883	11 883
მარაგი		
სულ	97 837	98 481

შენიშვნა 6
ძირითადი
საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა - ნაგებობები	მანქანა - დანადგარები და მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	სულ
ბალანსი 31/12/2023	9 540 480	1 040 943	255 556	22 905	36 737	35 876	10 932 497
დანამატები							0
აქტივების							0
ჩამოწერა							0
გადაფასება							0
ბალანსი 31/12/2024	9 540 480	1 040 943	255 556	22 905	36 737	35 876	10 932 497
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
ბალანსი 31/12/2023		(276 774)	(157 931)	(12 263)	(12 305)	(14 289)	(473 561)
ცვეთა		(14 656)	(4 833)	(1 308)	(1 836)	(1 257)	(23 890)
პერიოდისათვის ჩამოწერილი		0	0				0
აქტივების ცვეთა							0
გადაფასება							0
ბალანსი 31/12/2024	0	(291 430)	(162 764)	(13 571)	(14 140)	(15 546)	(497 451)
ბალანსი 31/12/2023	9 540 480	764 168	97 625	10 642	24 433	21 587	10 458 936
ბალანსი 31/12/2024	9 540 480	749 513	92 792	9 334	22 597	20 330	10 435 046

შენიშვნა 7

შპს „ინვესტი 2023“-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება

სავაჭრო და სხვა
ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21 523	16 062
სულ	21 523	16 062

შენიშვნა 8

ამონაგები

	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	870 034	665 653
სულ	870 034	665 653

შენიშვნა 9

საოპერაციო

ხარჯები

	31.12.2024	31.12.2023
დასაქმებულთა ანაზღაურება	269 549	292 494
ცვტა და ამორტიზაცია	23 890	23 914
მიწოდების ხარჯი	67 529	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	214 464	317 893
სულ ხარჯები	575 431	634 301

შენიშვნა 10

არასაოპერაციო

შემოსავალი

	31.12.2024	31.12.2023
სხვა შემოსავალი	-	308 581
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	-	308581

შენიშვნა 11

არასაოპერაციო

ხარჯი

არასაოპერაციო

ხარჯები

	31.12.2024	31.12.2023
არასაოპერაციო ხარჯები	29 703	-
სულ	29 703	-

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოშვებულ იქნა ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი მერაბ მელია



შპს „ინვესტი 2023“-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება